საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე მიტროპოლიტი

იოანე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – გიორგი ვახტანგის ძე გ ა მ რ ე კ ე ლ ი) (დ. 28. X. 1946, თბილისი), სასულიერო მოღვაწე. სწავლობდა თბილ. პოლიტექნიკურ ინ-ტში გეოლოგიის ფაკ-ტზე, ხოლო შემდეგ – ნოვოჩერკასკის გეოლოგიის ინ-ტში. 1983-იდან იგი სიონის საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანი იყო. 1985–88 სწავლობდა მცხეთის სას. სემინარიაში. 1987 აკურთხეს დიაკვნად, 1988 – მღვდლად. იმავე წლიდან მსახურობდა ანჩისხატის ეკლესიაში, ხოლო 1989 იანვრიდან – სიონის საპატრიარქო ტაძარში.

1989 წ. 8 თებ. ი. მ. სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერად და თბილ. სას. აკადემიისა და სემინარიის რექტორად დაინიშნა. 1993 წ. 19 ივლისიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია IIის ლოცვა-კურთხევით საქართვ. საპატრიარქოს სასწ. კომიტეტის თავ-რე გახდა.

1995 ი. მ. აირჩიეს გელათის მეცნ. აკადემიის აკადემიკოსად. იგი ხელმძღვანელობს წმ. წერილის ქართულ ენაზე მთარგმნელთა ჯგუფს, ჟურნალ „რწმენა და ცოდნას", კითხულობს ლექციებს სას. აკადემიასა და სემინარიაში, თსუ-ში. 2005-იდან სას. აკადემიისა და სემინარიის პრორექტორად დაინიშნა.

2008 წ. 27 ივნ. საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის განჩინებით ი. მ. გამორჩეულ იქნა ცურტავის ეპისკოპოსად. 11 სექტემბერს სამების საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა და 14 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ შესრულდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა.

2010 ი. მ-ს მთავარეპისკოპოსის წოდება მიენიჭა და რუსთავისა და მარნეულის მმართველ მღვდელმთავრად დაადგინეს, ხოლო 2011 წ. 28 აგვ., მიტროპოლიტის პატივი უბოძეს. დაჯილდოებულია წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენით (2007).